



თბილისის ღია უნივერსიტეტი
ბიზნესისა და ინჟინერიის სკოლის

სამაგისტრო ნაშრომი

მიხეილ ანთაძე

პირდაპირი გადასახადების დაბეგვრის მეთოდოლოგია საქართველოს
მაგალითზე

„წარმოდგენილია მაგისტრის კადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“,
თბილისის ღია უნივერსიტეტი”

თბილისი, 0156, საქართველო

ავტორი: მიხეილ ანთაძე

საიდენტიფიკაციო ნომერი 01006019044

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: ბიზნესისა და ინჟინერიის

საგანმანათლებლო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით მიხეილ ანთაძის მიერ
შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: “პირდაპირი გადასახადების დაბეგვრის მეთოდოლოგია
საქართველოს მაგალითზე”

და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის
ბიზნესისა და ინჟინერიის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად”

თარიღი _____

ხელმძღვანელი : სრული პროფესორი

რეგენზენტი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი:

ნათია ვაჭარაძე

შინაარსი

შესავალი ----- გვ.6

თავი .1. საგადასახადო სისტემის არსი და საფუძვლები

- 1.1. დაბეგვრის წარმოშობის, საგადასახადო სისტემის
ჩამოყალიბების და ევოლუციის ასპექტები ----- გვ.7
- 1.2. გადასახადების ცნება, სტურქტურა, ელემენტები და ფუნქციები ----- გვ.16
- 1. 3. საქართველოს საგადასახადო სისტემის არსი და სტურქტურა ----- გვ. 24

თავი.2. საქართველოს პირდაპირი გადასახადების სისტემის აგების მეთოდოლოგიური საფუძვლები

- 2.1. საშემოსავლო გადასახადი ----- გვ. 28
- 2.2. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები „მიკრო ბიზნესი“ ----- გვ. 33
- 2.3. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები „მცირე ბიზნესი“ ----- გვ. 35
- 2.4 სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები „ფიქსირებული“ ----- გვ. 37
- 2.5. მოგების გადასახადი ----- გვ. 40

- 2.6. ქონების გადასახადი ----- გვ. 46
- დასკვნა ----- გვ.53
- რეზიუმე -----
- გამოყენებული ლიტერატურა -----გვ, 57

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი „პირდაპირი გადასახადების დაბეგვრის მეთოდოლოგია საქართველოს მაგალითზე“ - განხილულია პირდაპირი გადასახადების გადახდის კულტურა და განვითარების ისტორია საქართველოში. რა მნიშვნელობა აქვს გადასახადის გადახდას, რამდენად გამარტივებული და გადასახადის გადამხდელზე მორგებული (ლოიალური და ხელშემწყობი) საგადასახადო სისტემა ყალიბდება.

ნაშრომში გაანალიზებულია პირდაპირი გადასახადის მნიშვნელობა და როლი ქვეყნის ეკონომიკისთვის. სახელმწიფოს მიერ გატარებული სწორი საგადასახადო - საბიუჯეტო პოლიტიკა ქვეყნის არსებობისა და განვითარების მყარ საფუძველს წარმოადგენს. ბიუჯეტის ფორმირება დამოკიდებულია სახელმწიფოში მოქმედ საგადასახადო სისტემის თეორიულ - მეთოდოლოგიურ ბაზისზე, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის განხორციელების საფუძველს. დაბალანსებული საგადასახადო ადმინისტრირების პროცესი უწყობს ხელს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას და იმ საგადასახადო ურთიერთობების დარეგულირებას, რომელიც ყალიბდება საგადასახადო ორგანოებსა და გადასახადის გადამხდელებს შორის დაბეგვრის პროცესში.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში მყოფი ქვეყნისათვის აღნიშნული ურთიერთობების რეგულირების პროცესი კიდევ უფრო მწვავეა და წინააღმდეგობრივი, რაც უპირველეს ყოვლისა საზოგადოების დაბალი საგადასახადო კულტურითაა განპირობებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირება, როგორც საგადასახადო სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, იძენს მეტ აქტუალობას. საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები, ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, მუდმივად საჭიროებს სრულყოფას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხების კვლევა და მეცნიერული სიახლეების ძიება უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს.

ამასთან, ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოებს შორის არსებულ ურთიერთობებში ფსიქოლოგიური ასპექტებისა და საზოგადოების საგადასახადო ცნობიერების როლის ამაღლების საკითხებს, რაც ბოლო პერიოდში საგრძნობლად იგრძნობა. სახელმწიფო საგადასახადო კუთხით ცდილობს მეტად გაუმარტივოს გადასახადის გადამხდელს ურთიერთობა და ყოფიერება, მაქსიმალურად ხორციელდება ელექტრონულად(დისტანციურად) ურთიერთობის მოგვარება სახელმწიფოსთან. ყოველივე ეს კი უფრო საინტერესოს, აუცილებელს, მიმზიდველსა და აქტუალურს ხდის მთლიანად საგადასახადო სისტემის და შესაბამისად, ბიზნესის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების მეცნიერულ შესწავლას და ახლებურად გააზრებას.

ეკონომიკური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გადასახადებით დაბეგვრასა და საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის იყო მეცნიერ თეორეტიკოსთა და პრაქტიკოს ეკონომისტთა დიდი ინტერესის საგანი.

გადასახადის გადახდა და მისი შესწავლა თითოეული მოქალაქისთვის (გადასახადის გადამხდელისთვის) ძალზედ მნიშვნელოვანია, სწორედ ეს ყველაფერი განაპირობებს ქვეყნის განვითარების და საგადასახადო კულტურის ამაღლების პროცესს და თითოეული მოქალაქის მომავას.

შესავალი

პრობლემის აქტუალობა. საქართველოში გადასახადების გადახდის კულტურა არც თუ ისე მაღალია თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება რომ ამ მიმართულებით საკმაოდ ვპროგრესირებთ. სახელმწიფოს მხირად პერიოდულად ხდება საგადასახადო კანონმდებლობის გამარტივება ან/და ლოიალური მიდგომა. აქსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაქსიმალურად ხდება ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებისა და განვითარების კუთხით, ამის ნათელი მაგალითია მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე სუბიექტებზე საშემოსავლო გადასახადის 5-ჯერ შემცირება. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე სუბიექტების მიმართ საშემოსავლო გადასახადისგან განთავისუფლება. ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მქონე პირის მიმართ შეღავათის გავრცელება (იხდის მხოლოდ ფიქსირებულ გადასახადს) საშემოსავლო გადასახადის გადახდის კუთხით. 2018 წლიდან მოგების გადასახადის ახალ ესტონურ მოდელზე გადასვლით იურიდიულ პირებს მიეცათ საშუალება საკუთარი ბიზნესის გაფართოების მიზნით მოახდინონ რეინვესტირება საკუთარი მოგების და ამ მიმართულებითაც სარგებლობენ შეღავათით და არ იბეგრებიან. ყოველივე ამის გათვალისწინებით სისტემატიურად ხდება გადასახადის გადამხდელის კონტროლი და შემდგომ პრევენციული ღონისძიებების

კვლევის მიზანია მკითხველს გააცნოს საქართველოში მოქმედი, პირდაპირი გადასახადების დაბეგვრის არსი და მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკისთვის, რა გავლენას ახდენს/მოახდენს თითოეული ჩვენთაგანისთვის გადასახადის გადახდა. კვლევაში განხილულია საქართველოში პირდაპირი გადასახადების კანონით გათვალისწინებული მიდგომები, განაკვეთები და მათი დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა პირდაპირ გადასახადებთან დაკავშირებულ საკითხებზე ქართველ მკვლევართა კვლევები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს საშემოსავლო სამსახურის პუბლიკაციები.

თავი 1. საგადასახადო სისტემის არსი და საფუძვლები

1.1 დაბეგვრის წარმოშობის, საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების და ევოლუციის ასპექტები

გადასახადების წარმოშობას უძველესი ისტორია აქვს და ცნება „გადასახადი“ თავისი ფესვებით საუკუნეების სიღრმიდან მოდის. კაცობრიობის ცივილიზაციის საწყის ეტაპზე ფილოსოფოსები გადასახადებს განმარტავდნენ, როგორც საზოგადოებისათვის აუცილებელ და სასარგებლო მოვლენას.

გადასახადების წარმოშობისა და განვითარების განმასხვავებელი პერიოდების მიხედვით დაბეგვრის ისტორიულ ეტაპებს ოთხ ნაწილად ჰყოფენ: 1) IV ს. ჩ. წ. აღრიცხვამდე - V ს. ჩ. წ. აღრიცხვით. ამ პერიოდში ჩნდება გადასახადები. იგი ატარებს არარეგულარულ ხასიათს და ამოიღება ნატურალური ფორმით. სახელმწიფო ხარჯების ზრდის კვალობაზე გადასახადები ამოიღება ფულადი ფორმით. 2) V – XIII სს. უკვე არსებობს განსაზღვრული საგადასახადო სისტემები. გადასახადები შემოიღება განსაზღვრულ პერიოდზე, როდესაც ხაზინაში მთავრდება სახსრები. ამ პერიოდში პირველად შემოდის აქციზი შემოსატან და გასატან საქონელზე. ამ ეტაპზე გადასახადების აკრება წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობას. გადასახადების ამოღების უფლება ცალკეული მოქალაქეების მიერ გამოისყიდება სახელმწიფოსაგან. გადასახადი ხდება სახელმწიფო ხაზინის მთავარი წყარო. 3) XIII საუკუნის ბოლო და XIX საუკუნის დასასრული. ხდება დაბეგვრის პრინციპების ფორმირება და გადასახადის ცნების განსაზღვრა. მუშავდება დაბეგვრის თეორიული საფუძვლები. გადასახადებს აწესებენ საყოველთაობის პრინციპიდან გამომდინარე. 4) XX საუკუნის დასაწყისი. ხდება თანამედროვე საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება დაბეგვრის მეცნიერულ პრინციპებზე. მთავარ ადგილს იკავებს პირდაპირი დაბეგვრა. იწყება დაუსრულებელი

საგადასახადო რეფორმები ოპტიმალური მოდელის შესაქმნელად, რომელიც დღემდე გრძელდება.

გადასახადების წარმოშობა დოკუმენტურად დასტურდება 2500 წლის წინ. ეგვიპტეში გადასახადის ამკრებები იყვნენ ე.წ. „გადამწერები“. მათ საფლავში აყოლებდნენ ფარაონებს, რათა იმქვეყნად დახმარებოდნენ ფარაონებს გადასახადების აკრებასა და სახელმწიფო ხაზინის შევსებაში.

საინტერესო და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რომის იმპერიაში აღრიცხულია 213 გადასახადი. აქედან ზოგიერთის მნიშვნელობა გაურკვეველია. ზოგიერთ მათგანს კი შემდეგი სახე აქვს: მოსაკრებელი ხელშეკრულებების დამოწმებისათვის; მოსაკრებელი ვირების იარლიყისათვის, ასევე აქლემების იარლიყისათვის; მოსაკრებელი ნახირზე; გადასახადი ვენახზე; მიწის გადასახადი; სპეციალური გადასახადი ბოსტანზე; გადასახადი მონების ფლობაზე; მოსაკრებელი ფინიკის პლანტაციებზე; მოსაკრებელი მექისებზე; მოსაკრებელი სახელოვანი სტუმრის შესანახად; გადასახადი ფინიკის შემოსავალზე; მოსაკრებელი გარნიზონის შესანახად; ოქროს გვირგვინის მოსაკრებელი, რომელიც გამოხატავს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ ქვეშევრდომული ერთგულების გრძნობას; მოსაკრებელი რაიონის უფროსის შენახვისათვის; ნოტარიალური მოსაკრებელი იჯარაზე; გადასახადი სავაჭრო ბრუნვაზე; გადასახადი მონების გათავისუფლებაზე და ა. შ.

გადასახადებთან ისტორიულად უამრავი ღირსშესანიშნავი ფაქტია დაკავშირებული. კერძოდ, რომის იმპერიაში და მათ შორის იუდეაში მიწის გადასახადის ამოღების მიზნებისათვის ე.წ. „გადამწერები“ ანუ იგივე ცენზორები აღწერდნენ მოსახლეობის მიწებს, ხეებს და ამასთან, თვით მოსახლეობას. მოსახლეობის აღწერა ხდებოდა მათი დაბადების ადგილის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ დათქმულ დროს ყველა უნდა მისულიყო, მიუხედავად საცხოვრებელი ადგილისა, იმ ადილას სადაც დაიბადა და დარეისტრირებულიყო. ასე გააკეთა იესოს მამამაც. იგი მეუღლითურთ ჩავიდა მშობლიურ ბეთლემში, სადაც ამავე მიზნით ჩამოსული ადამიანების სიმრავლის გამო ყველა სასტუმრო ადგილი დაკავებული იყო. სწორედ ამიტომ დაიბადა იესო ქრისტე ბოსელში.

ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე-18 საუკუნეში ბაბილონის მეფემ, ჰამურაბმა შეიმუშავა კანონები (ეს კანონები შავი ბაზალტის ბოძზე იყო ამოკვეთილი), რომელიც ეხებოდა სამართალწარმოებას, საკუთრებას და დაბეგვრას. გადასახადების გადახდა ევალეზოდან თავისუფალ მიწათმოქმედებს და ხელოსნებს. გადასახადი გადაიხდებოდა როგორც ფულით, ასევე ნატურით. მისი ამკრებები იყვნენ მეფის ჩინოვნიკები, ხოლო გადასახადი შეადგენდა შემოსავლის ან ქონების 10 %-ს. ასეთი განაკვეთია დაფიქსირებული ბიბლიაშიც.

საქართველოში დაბეგვრის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა არაბი სარდლის ჰაბიბ იბნ მასლამას მიერ გაცემული დოკუმენტი ქართლის მოსახლეობაზე 654 – 655 წლებში - „დაცვის სიგელი“. „დაცვის სიგელს“ არაბები აძლევდნენ ნებით დამორჩილებულ მოსახლეობას. სტეფანოზ ერისმთავარმა ქართლის საზღვართან შეაგება მას ელჩი ძღვენით და მორჩილება აღუთქვა. არაბები თბილისში შემოვიდნენ, ხლო მასლამამ მიღებული ძღვენი მომავალი ხარკის ანარიში ჩათვალა და „დაცვის სიგელი“ გასცა. სიგელის მიხედვით: არაბები ხელუხლებლად ტოვებდნენ მოსახლეობის სარწმუნოებას, მოსახლეობას უნდა გადაეხადა გადასახადი ჯიზიის სახით, კომლზე თითო დინარი; ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობდა არ შეეცვალა კომლთა რიცხვი გადასახადების შემცირების ან გადიდების მიზნით; ქართველ მოსახლეობას დაევალა სამხედრო სამსახური; თავისი ნებით გამაჰმადიანებული დამპყრობელთა ძმად ცხადდებოდა და თავისუფლდებოდა ჯიზიისაგან. „დაცვის სიგელში“ ეწერა: „სახელითა ალაჰისა, ყოვლად მოწყალისა და მწყალობლისა, ესაა ჰაბიბ იბნ - მასლამას სიგელი ალ - ჰარმაზის ქვეყნის თბილისის მცხოვრებთათვის: გეწყალობათ თქვენ, თქვენს შვილებს, ოჯახებს, სენაკებს (მონასტრებს), ეკლესიებს, სარწმუნოების შეუვალობა დამამცირებელი ჯიზიას აღიარებით, ყოველ კომლზე სრული დინარის (ოქროს მონეტა) რაოდენობით. თქვენ არ გაქვთ უფლება გააერთიანოთ სხვადასხვა ოჯახები ჯიზიას შესამცირებლად, არც ჩვენ გვაქვს უფლება, რომ დავყოთ კომლი ჯიზიას გასადიდებლად. ჩვენ გვექნება თქვენი გულწრფელობა და შეწევნა ალაჰისა, მისი მოციქულისა და მორწმუნეთა მტრის წინააღმდეგ.

მეორე მნიშვნელოვანი საგადასახადო დოკუმენტია დასტურლამალი. ეს არის ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის მიერ 1707 – 1709 წლებში შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტი. ამ დოკუმენტის მიხედვით გლეხები იხდიდნენ შემდეგი სახის გადასახადებს: სახელმწიფო, სამოხელეო, საფეოდალო, განსაკუთრებული (ფეოდალის ოჯახთან დაკავშირებით: ლხინი, ჭირი და ა. შ.) და საეკლესიო გადასახადი.

გადასახადების მარეგულირებელი ქართული სამართლის ძეგლებიდან მნიშვნელოვანია ტაშისკარის ბაჟის ნუსხა, რომელიც თარიღდება 1753-1754 წლებით და შედგება ერთი პირის მიერ დაწერილი ორი მცირე მოცულობის საბუთისაგან. ტაშის-კარი (ტაშის-კარი - სოფელი ხაშურის რაიონში, ქვიშხეთის მახლობლად, ლიხის მთის აღმოსავლეთ კალთაზე მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს) მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ქართველ აბაშიძეთა სამფლობელოს წარმოადგენდა. ტაშის-კარის გამოვლით ვაჭრებს, რომლებსაც ოსმალეთიდან შემოჰქონდათ საქონელი აღმოსავლეთ საქართველოში, პაატა და ნიკოლოზ აბაშიძეებს დაწესებული ჰქონდათ გადასახადები, რომლის ამოღება ერთგულ და სანდო პიროვნებას ბეჟან ნახუცრიშვილს“.

„ადრეულ ფეოდალურ საქართველოში გადასახადებს აწესებდნენ თვითონ ფეოდალები, რომლებიც მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი იყო. მოგვიანებით კი, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში შეტანილი ქართული სამართლის ძეგლით „დასტურლამალი“-თ ფეოდალების მიერ გადასახადების დაწესება აიკრძალა და ამ წიგნის 362-ე მუხლით ცალკე გამოიყო სახელმწიფო 21 გადასახადები, რომლებსაც მიეკუთვნებოდა სახელმწიფო ბეგარა (სახელმწიფო ვალდებულების შესრულება პირადად ან დაქირავებული პირის მიერ, შემსრულებელს თან უნდა ჰქონდეს იარაღი და საგზალი), კოდის პური (სახელმწიფო გადასახადი ხორბლით ან ქერით (წელიწადში კომლზე 4 კოდი (10 ლიტრი - 1 კოდი პური), საბალახე (გადასახადი ცხვართ. 100 ცხვარზე 1 ცხვარი. დაბეგვრის სუბიექტი - საქონლის პატრონი), ნადირობის (ნადირის მორეკვა, ღამით დარაჯობა), საურავი (ფულადი გადასახადი 14 შაქრის ოდენობით). გვიანფეოდალურ საქართველოში არსებობდა: შრომამიმაგრებითი რენტა, რენტა პროდუქტებით და ფულადი რენტა.

თუ ფეოდალურ საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაბატონებული იყო რენტის პირველი ორი სახე, გვიანდელ საქართველოში სასაქონლო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე ბატონყმური მეურნეობა გლეხისაგან ითხოვდა ფულად რენტას, ფულად გადასახადს“.

წარსულში საქართველოში გავრცელებული გადასახადებიდან აღსანიშნავია აგრეთვე:

„ღალა (არაბ.) – გადასახადი მიწით სარგებლობისათვის. ამ გადასახადს ჭირნახულის (ძირითადად მარცვლეულის) ან ფულის სახით იხდიდნენ გლეხები იმ მიწით სარგებლობისათვის, სადაც მოსავალი მოჰყავდათ, ღალის სახით გლეხი ფეოდალს მოსავლის 1/3 – 1/10 ნაწილს უხდიდა. ღალის განაკვეთისას მხედველობაში იღებდნენ მიწის სიდიდესა და ხარისხს. ღალა ეწოდებოდა აგრეთვე მიწის საიჯარო გადასახადს. არსებობდა „ღვინის ღალა“, „ბოსტნეულის ღალა“, „ნახშირის ღალა“ და ა. შ.

მალი (არაბულად დოვლათი, ქონება, სიმდიდრე) – მონღოლების მიერ შემოღებული გადასახადი მიწაზე, შემდეგ კომლზე, შემდეგ სულობრივი, მოგვიანებით – ყოველგვარი გადასახადი. აზერბაიჯანისა და სომხეთის სახანოებში XVIII საუკუნის II ნახევრიდან XIX საუკუნის I ნახევრამდე მალი იყო ნატურალური რენტა–გადასახადი, რომლის რაოდენობა განისაზღვრებოდა მოსავლის 1/10, 1/5, ან 1/3–ით. მალით იბეგრებოდა თბილისისა და გორის მაზრების მამრობითი სქესის მოსახლეობა 15 წლის ასაკს ზევით.

მახტა – სახელმწიფო კომლობრივი გადასახადი გვიან ფეოდალურ საქართველოში. იყო ნატურალურიც და ფულადიც. ის უნდა გადაეხადა სახაზინო გლეხის, ხელოსნისა და ვაჭრის ყოველ ოჯახს 3 კოდი პურის ოდენობით (2 კოდი ხორბალი, 1 კოდი ქერი). ფულად მახტას ახდევინებდნენ ვაჭრებსა და ხელოსნებს ქალაქად და სახელმწიფო გლეხებს ქალაქად და სოფლად. საბატონო გლეხობა მახტას არ იხდიდა.

ყალანი – პირდაპირი გადასახადი, რომლითაც გლეხის მიწის ნაკვეთები იბეგრებოდა. იყო ნატურალურიც და ფულადიც.

საკომლო – კომლი, რომელსაც ეკავა მიწის ნაკვეთი, ვალდებული იყო მიწის მეპატრონისათვის გადასახადი ფულადი ან ნატურალური ფორმით გადაეხადა. საკომლოს განაკვეთი შეადგენდა კომლზე 2 აბაზს წელიწადში.

კულუხი – ამ გადასახადს ღვინის სახით იხდიდნენ გლეხები იმ მიწით სარგებლობისათვის, სადაც ვენახი იყო გაშენებული. კულუხის გადახდა ხდებოდა ვენახის ფართობის, მოსავლის ან გლეხის შეძლების მიხედვით და მერყეობდა მოსავლის 1/2–დან 1/10–მდე.

საბალახე – სამოვარი ადგილის გადასახადი. ამ გადასახადის გადამხდელი იყო ის, ვინც სამოვარს იყენებდა, ანუ საქონლის მეპატრონე. საქონლის რაოდენობა აღირიცხებოდა სპეციალურ დავთარში და გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო ყოველ 100 ცხვარზე გადაეხადა 2 ცხვარი და 1 ბატკანი.

ჭირი – გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო იღებდა ეკლესია–მონასტრებისა და მისი მსახურებისაგან.

ნარბევი – საჯარიმო გადასახადი დეზერტირობისათვის.

ქეშიკი – შრომითი ბეგარის სახეობა – მოსახლეობის მიერ სამეფო ქონების ყარაულობა რიგრიგობით.

სატარულო – სამოურავო გადასახადი კომლზე ექვსი შაურის ოდენობით.

სურსათის გადასახადი – როგორც სახელმწიფო ისე საბატონო და საეკლესიო გლეხებისაგან იკრიბებოდა ხორბალი და ქერი ომის დროს ჯარის გამოსაკვებად. გადასახადის აკრება წელიწადში ერთხელ მელიქეებს ევალებოდათ. საქართველოს მთიანეთის მოსახლეობა სურსათის გადასახადისაგან თავისუფალი იყო.

კოდის პური – ამ გადასახადით იბეგრებოდა მიწა. წელიწადში კომლზე 4 კოდი (10 ლ მოცულობის) ხორბლის გადახდა იყო დადგენილი. ამ გადასახადს არ იხდიდნენ თუმები, ფშავები, ხევსურები და სხვა - იმ ტერიტორიების მოსახლეობა, სადაც ხორბლის მოყვანა შეუძლებელი იყო.

საქვრივო – ქვრივი გლეხის ქალის გათხოვებისას მისი ბატონის სასარგებლოდ სასიძოსათვის დაკისრებული გადასახადი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. სამეფო სოფლებში საქვრივოს ძირითადი ნაწილი მეფისა იყო, ხოლო ნაწილი – მოურავის, ნაცვალისა და მამასახლისის. საქვრივოს ჩვეულებრივ შეადგენდა 1 ხარი ან ძროხა, რასაც 5 აბაზიც ემატებოდა. XVIII საუკუნის II ნახევრიდან და XIX საუკუნეში

საქვრივომ ფულადი ხასიათი მიიღო და მისი რაოდენობა 5–დან 50 მანეთამდე მერყეობდა.

შევარდენი – ამ ორიგინალურ გადასახადს იხდიდნენ სოფლები, რომლებსაც ებარათ მეფის შევარდნების ბუდეები და ევალეობდათ მათი მოვლა. სოფელი ვალდებული იყო მეფისათვის მიერთმია შევარდენი“.

საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების გარდა, არსებობდა ასევე ადგილობრივი გადასახადებიც. ასეთ გადასახადს მიეკუთვნებოდა მასრაფი, რომელიც ხმარდებოდა ქალაქის კომუნალურ მეურნეობას, მაზრის უფროსის ხელფასს და სხვა ხარჯებს.

ამრიგად, საქართველოში საგადასახადო დაბეგვრა უპირატესობას ანიჭებდა გადასახადის ნატურალურ ფორმას, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში ფულადმა ფორმამ შეცვალა.

ძველ საქართველოში გადასახადების წარმოშობისა და განვითარების შესახებ გამოკვლევებში ფასდაუდებელი წვლილი, აქვთ შეტანილი მე-20 საუკუნის უდიდეს მეცნიერებს, აკადემიკოსებს: ივანე ჯავახიშვილს, პაატა გუგუშვილს, ვასილ ჩანტლაძეს, ირაკლი ანთილაფას.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე მანძილზე სახელმწიფომ ავტონომიური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება ვერ მოასწრო და გადასახადები ძირითადად მეფის რუსეთის დროს დამკვიდრებული საგადასახადო სისტემისა და წესების მიხედვით იკრიბებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საგადასახადო სისტემა მთლიანად იმეორებდა სსრკ-ს ფარგლებში დადგენილ გადასახადებს. ამასთან, თავისი არსებობის შვიდი ათეული წლის განმავლობაში, საბჭოთა საგადასახადო სისტემამ მრავალჯერ განიცადა ცვლილება. საბჭოთა საქართველოში ბიუჯეტის შემოსავლების 90%-ზე მეტს შეადგენდა საწარმოთა გადასახადები. ამ უკანასკნელის წყარო იყო მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი წმინდა შემოსავალი.

სოციალისტური საწარმოები ბიუჯეტში იხდიდნენ სამი სახის: ბრუნვიდან, მოგებიდან და სხვა შემოსავლებიდან გადასახადს. საწარმოების და სამეურნეო ორგანიზაციების ბრუნვიდან გადასახადი იყოფოდა სასაქონლო და არასასაქონლო

ბრუნვიდან გადასახადებად. სასაქონლო ბრუნვიდან გადაიხდებოდა საქონლის ბრუნვის გადასახადი, ხოლო არასასაქონლო ბრუნვიდან – შემოსავლიდან გადასახადი. სახელმწიფო საწარმოების მოგებიდან ბიუჯეტში ჩარიცხვას ექვემდებარებოდა: ძირითად საწარმო ფონდებზე და ნორმირებულ საბრუნავ საშუალებებზე გადასახდელი, წყალზე გადასახდელი, ფიქსირებული (რენტული და არარენტული ხასიათის) გადასახდელი და შენატანები მოგების თავისუფალ ნაშთზე.

კოოპერატიული საწარმოები ბიუჯეტში იხდიდნენ: კოლმეურნეობებიდან სამემოსავლო გადასახადს, აგრეთვე კოოპერაციული სამომხმარებლო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახდს.

საბჭოთა პერიოდის საქართველოში მთავარ როლს თამაშობდა ბრუნვის გადასახადი, რამდენადაც სოციალისტური მეთოდოლოგიით ახალი ღირებულება მხოლოდ წარმოების სფეროში იანგარიშებოდა. ბრუნვის გადასახადს იხდიდნენ სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, საწარმოო გაერთიანებები (კომბინატები), საზოგადოებრივი, კოოპერაციული და მეურნეობათაშორისი ორგანიზაციები, რომლებიც ახდენდნენ საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციას.

„ბრუნვის გადასახადის სიდიდის გასაანგარიშებლად გამოიყენებოდა სამი მეთოდი: ფასთა სხვაობის მეთოდი, მყარ თანხაში ფიქსირებული განაკვეთი, ბრუნვის მიმართ საპროცენტო განაკვეთი.

საბჭოთა საგადასახადო სისტემაში ბრუნვის გადასახადის შემდეგ მეორე ადგილი ეკავა მოგებიდან გადასახადს. საწარმოები ვალდებული იყვნენ ბიუჯეტში პირველ რიგში ჩაერიცხათ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებული საშუალებების გადასახდელი. ძირითად საწარმოო ფონდებზე გადასახდელი დადგენილი იყო პროცენტებში: მაღალრენტაბელური საწარმოებისათვის - დასაბეგრი ობიექტის ღირებულების 6%, ხოლო ნაკლებადრენტაბელური საწარმოებისათვის - 3%.

საბჭოთა საგადასახადო სისტემაში გამოიყენებოდა აგრეთვე ფიქსირებული გადასახდელი. განსაკუთრებით მომპოვებელი მრეწველობის საწარმოებში, რომლებსაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო, წარმოექმნებოდათ დიფერენციული წმინდა შემოსავალი, აგრეთვე დამამუშავებელ საწარმოებში, რომელთა რენტაბელობა უფრო

მაღალი იყო საშუალო დარგობრივთან შედარებით. ფიქსირებული გადასახდელი ბიუჯეტში შეიტანებოდა მისი განაწილების პროცესში.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საწარმოები ვალდებული იყვნენ ბიუჯეტში შეეტანათ მოგების თავისუფალი ნაშთი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დირექტიული გეგმიანი ეკონომიკის პირობებში საწარმოებს არ გააჩნდათ თავისუფლება და შესაბამისად დაბალი იყო ეკონომიკის განვითარების ტემპები“.

საქართველოს უახლოეს ისტორიაში მკაფიოდ ჩანს გადასახადით დაბეგვრის თავისებურებანი, რომელიც საშუალებას იძლევა განვიხილოთ მისი განვითარების ოთხი პერიოდი: 1991-1992 წლები; 1993-1995 წლები; 1996-1998 წლები; 1999- 2002წლები. პირველი ეტაპი იყო გადასახადით დაბეგვრის საწყისი პერიოდი, მეორე პერიოდის წლები იყო გარდაქმნის პერიოდი, მესამე – იყო გადასახადებზე ზოგიერთი კანონის რეფორმირების პერიოდი, ხოლო ბოლო პერიოდი არის გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერების მიზნით საგადასახადო კოდექსის მიღებისა და სრულყოფის ეტაპი, ანუ საგადასახადო რეფორმების გაგრძელება. ბოლო ორი პერიოდი განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს, რაც იმას მოწმობს, რომ კანონმდებლობის ძალისხმევა მიმართული იყოს საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობათა კოდიფიცირებაზე, სრულყოფაზე.

„ფასების გათავისუფლებამ და ამის შედეგად „უფასო პრივატიზაციამ“ ადამიანთა ვიწრო ჯგუფებს საშუალება მისცა მსხვილი საწარმოები უაღრესად დაბალ ფასებში შეეძინათ, რამაც გამოიწვია ბიუჯეტის აუცილებელი ფინანსური რესურსების გარეშე დატოვება, შრომის ანაზღაურების, პენსიებისა და სტიპენდიების გაყინვა, ფულადი მიმოქცევის ლიბერალიზაცია და კუპონის მკვეთრი გაუფასურება. საბჭოთა პრინციპებისა და დასავლეთის გამოცდილების მიხედვით საგადასახადო სისტემის დაფუძნება-ჩამოყალიბებისა და სხვა მოვლენის მიმდინარეობა ადასტურებს იმ ფაქტებს, რომ 1991-2000 წლებში საქართველოს მთავრობას პერსპექტივაში არ ჰქონდა განსაზღვრული მკვეთრი ეკონომიკური პოლიტიკა. ამიტომ ამ ბოლო წლებში ჩამოყალიბებული საბიუჯეტო საგადასახადო-სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემა ეფუძნება წინაღმდეგობრიობაში არსებულ ორ პრინციპულ მიზანდასახულობას.

წინააღმდეგობრიობა იმაში მდგომარეობს, რომ, თუ გადასახადის თვისობრივი გაძლიერების ხარჯზე საგადასახადო სიმძიმის შემსუბუქების დეკლარირება ხდება, პრაქტიკაში კი ყველაფერი პირიქით მიმდინარეობს“.

ადრეული პერიოდისა და თანამედროვე საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ გადასახადების ევოლუცია, მისი განვითარების კანონზომიერება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, შევისწავლოთ მათი გამოცდილება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების გათვალისწინებით ქვეყანაში შემუშავდეს სამართლიანი და მისაღები საგადასახადო სისტემა.

1.2 გადასახადების ცნება, სტრუქტურა, ელემენტები და ფუნქციები

გადასახადის, როგორც ცნების განმსაზღვრელი ნიშანი თეორიაში ყოველთვის დაკავშირებული ჰყავთ სახელმწიფოსთან, რაც მცდარია. ინგლისელი ა. პორკი წიგნში „დაბეგვრის ისტორია“, წერს, რომ „სახელმწიფო და გადასახადები გაჩნდნენ თითქმის ერთდროულად. სახელმწიფო - ბავშვია, რომელიც იზადება ერთი ხელით - კოვზით და მეორე ხელით - ხმლით“.

მიგვაჩნია, რომ გადასახადებისა და სახელმწიფოს წარმოშობის თანადროულობა არ შეესაბამება სინამდვილეს. გადასახადები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებისათვის სახსრების მოძიების მეთოდი გადასახადების სახით. სახელმწიფოზე უფრო ადრე არსებობდა ერთი ტომის მიერ მეორე ტომის, თუ გვარის, თუ ჯგუფის დაპყრობა, ქონების წართმევა, ხარკის დაკისრება და მონური შრომა გარკვეული პირების სასარგებლოდ. ყველა ეს ქმედება წარმოადგენს საბოლოო ჯამში გადასახადს ანუ ერთი პირის (პირების) მიერ მეორე პირის (პირების) სასარგებლოდ იძულების წესით ქონების, თუ მომსახურების დათმობას. ამ თვალსაზრისით, რელიგიური მსხვერპლშეწირვაც გადასახადის ფორმაა, რომელიც სახელმწიფოსთან არ არის დაკავშირებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გადასახადი არის იძულებაზე დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობა ვინმეს მიერ, ვინმეს სასარგებლოდ მატერიალური და არამატერიალური სიკეთის განაწილების სახით.

თანამედროვე პირობებში გადასახადი არის სახელმწიფოს მიერ პირებისათვის გაწეული ფუნქციონალური მომსახურების ირაციონალური და მონოპოლიური ფასი.

რაც შეეხება გადასახადების სტრუქტურას, იგი გამოიყურება შემდეგნაირად: საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და ადგილობრივი გადასახადები (ქონების გადასახადი).

გადასახადები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: ფედერალური ან საერთო - სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი (მათ შორის რეგიონული), პირდაპირი და არაპირდაპირი, პროგრესული, რეგრესული, პროპორციული, ფიქსირებული.

ფედერალური გადასახადები, როგორც წესი, მთლიანად მიიმართება ფედერალურ ბიუჯეტში საერთო - სახელმწიფოებრივი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასეთ გადასახადებს მიეკუთვნება დღგ, აქციზი, საბაჟო გადასახადი, მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი და მათი სხვადასხვა სახელობითი მოდიფიკაციები სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით.

ადგილობრივი (რეგიონული) გადასახადები სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ფორმით არსებობს და იგი შესაბამისი დონის ბიუჯეტში მიიმართება. ასეთია მაგ. ქონების გადასახადი ან გაყიდვის გადასახადი და სხვა.

პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადები. ასეთი კლასიფიკაცია პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა (1632 - 1704) შემოიღო. მისი აზრით, ყველა გადასახადი საბოლოო ჯამში გადაიხდება მიწისმფლობელის მიერ. ამდენად საჭიროა ყველა გადასახადის გაერთიანება ერთ გადასახადში - მიწის გადასახადში. ლოკის მიხედვით, მიწის გადასახადი პირდაპირი გადასახადია, ხოლო სხვა დანარჩენი არაპირდაპირი, რომლებსაც გადააკისრებენ სხვა პირებს.

თანამედროვე გაგებით პირდაპირია ის გადასახადი, რომელსაც გადასახადის გადამხდელი სხვას ვერ გადააკისრებს და უშუალოდ იხდის, ხოლო - არაპირდაპირი

ისეთი, რომლის გადაკისრება შეუძლია მის გადამხდელს სხვა პირებზე. თუმცა არსებობს არაპირდაპირი გადასახადების გადაკისრების თეორიაც, რომელსაც მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არაპირდაპირი გადასახადებით დაბეგრული საქონლის (მომსახურების) შემენა გაზრდილი ფასების ან დაბალი შემოსავლების გამო არ შეუძლიათ ფართო ფენებს. ამ შემთხვევაში არაპირდაპირი გადასახადების მთელი სიმძიმე აწვებათ სხვა გადასახადის გადამხდელებს. არაპირდაპირი გადასახადების რელური გადამხდელები არიან საქონლის (მომსახურების) მომხმარებლები, ხოლო ფორმალური გადამხდელები (ანუ ბიუჯეტში ამ გადასახადების შემტანები) საქონლის (მომსახურების) მიმწოდებლები. არაპირდაპირი გადასახადების გადაკისრება მომხმარებლებზე ფასების საშუალებით ხდება. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, გადასახადების დაყოფას პირდაპირად და ირიბად - წმინდა შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. სინამდვილეში, რეალურად ყველა გადასახადს საბოლოო ჯამში იხდის საქონლის (მომსახურების) მომხმარებელი, რადგანაც ფასის და შესაბამისად, ფასში ჩადებული მოგების ანაზღაურება ხდება მომხმარებლის მიერ.

პროგრესული, რეგრესული, პროპორციული და ფიქსირებული გადასახადები პირდაპირი გადასახადების განაკვეთების მიხედვით კლასიფიცირებული გადასახადებია. ისინი წესდება, ე.წ. „სოციალური სამართლიანობის“ ან თავისუფალი ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით ან გაუთვალისწინებლად.

პროგრესული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთები წესდება დიფერენცირებულად შემოსავლების ზრდის მიხედვით ზრდადი საფეხურებრივი განაკვეთით. პროგრესული განაკვეთები შეიძლება იყოს მარტივი და რთული. მარტივია დაბეგვრა, როდესაც განსხვავებულ შემოსავლებს მიესადაგება განსხვავებული შესაბამისი განაკვეთები. რთულია დაბეგვრა, როდესაც განსხვავებულ შემოსავლებს შკალის შიგნით მიესადაგება განსხვავებული განაკვეთები. პროგრესული დაბეგვრის დროს ფართოდ გამოიყენება ასევე დაუბეგრავი მინიმუმი.

რეგრესული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთები წესდება დიფერენცირებულად შემოსავლების ზრდის მიხედვით შემცირებადი საფეხურებრივი განაკვეთებით. რეგრესული განაკვეთების შემოღების დროს საგადასახადო ტვირთი

მცირდება შემოსავლების ზრდის მიხედვით. რეგრესული განაკვეთი ასტიმულირებს მაღალი შემოსავლების მიღებას.

პროპორციული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთი წესდება პროცენტის სახით შემოსავლის მიმართ, მიუხედავად ამ შემოსავლის ოდენობისა.

ფიქსირებული გადასახადის დროს საგადასახადო განაკვეთი უდრის გადასახადის ოდენობას. ფიქსირებული გადასახადი შეიძლება იყოს საფეხურებრივიც.

გადასახადის შინაარსი „შემოსილია“ გადასახადის ელემენტებით. გადასახადის ელემენტები არის გადასახადების ამოღების პრინციპების ერთობლიობა. მას მიეკუთვნება: დაბეგვრის სუბიექტი, დაბეგვრის ობიექტი, საგადასახადო ბაზა, დაბეგვრის ერთეული, გადასახადის წყარო, გადასახადის მასშტაბი, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო პერიოდი, გადასახადის გამოთვლის წესი, გადასახადის გადახდის ვადა. აქვე შეიძლება განვიხილოთ საგადასახადო ტვირთიც.

დაბეგვრის სუბიექტი არის გადასახადის გადამხდელი ანუ იურიდიული ან ფიზიკური პირი ან ასეთი სტატუსის მქონე პირი, რომელიც კანონმდებლობით ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი გადასახადი.

დაბეგვრის ობიექტი არის ყოველივე ის, რასაც ერიცხება გადასახადები და რაც არის დაბეგვრის საფუძველი. დაბეგვრის ობიექტებია : საქონელი, მომსახურება, ქონება, მოგება, შემოსავალი ან შესაბამისი ოპერაცია, რომელიც კანონმდებლობით ექვემდებარება დაბეგვრას.

გადასახადის წყარო არის დაკონკრეტებული დაბეგვრის ობიექტი ანუ ის რესურსი, რომლის ხარჯზეც ხდება გადასახადის გადახდა, მაგ. მოგება, ქონების გადასახადის შემთხვევაში შესაბამისი შემოსავალი.

დაბეგვრის ერთეული არის დაბეგვრის ობიექტის ზომის ერთეული. მაგ. შემოსავლის ზომის ერთეული- ევრო, მიწის ფართის ერთეული - ჰექტარი, საქონლის ზომის ერთეული - ლიტრი, ავტომანქანის ძრავის მოცულობის ერთეული - კუბური მეტრი და ა.შ.

დაბეგვრის პერიოდი არის პერიოდი ყოველი სახის გადასახადისათვის ერთი საგადასახადო ვალდებულების წარმოშობიდან შემდეგისაგადასახადო ვალდებულების წარმოშობამდე.

გადასახადის მასშტაბი არის დაბეგვრის ობიექტის ფიზიკური მახასიათებელი, რომელიც გამოიხატება დაბეგვრის ერთეულით. მაგ. დაბეგვრის ობიექტია მსუბუქი მანქანა, გადასახადის მასშტაბი - ავტომანქანის სიმძლავრე, ხოლო დაბეგვრის ერთეული - ცხენის ძალა ; ან დაბეგვრის ობიექტია მსუბუქი ავტომანქანა, გადახდის მასშტაბი - ძრავის მოცულობა, ხოლო დაბეგვრის ერთეული - კუბური სანტიმეტრი.

საგადასახადო ბაზა არის დაბეგვრის ობიექტის ღირებულებითი, ფიზიკური ან სხვაგვარი მახასიათებლები. საგადასახადო ბაზის ერთეულს მიეყენება საგადასახადო განაკვეთი. საგადასახადო ბაზა გამოითვლება, როგორც გადასახადის ერთეულისა და ამ ერთეულის რაოდენობათა ნამრავლი. მაგ. 10 ჰექტარი მიწის შემთხვევაში, მიწის გადასახადის მიზნებისთვის საგადასახადო ბაზა იქნება - 1 ჰექტარი გამრავლებული ჰექტართა რაოდენობაზე ანუ 10_ზე, ე.ი -10 ჰექტარი.

საგადასახადო განაკვეთი არის საგადასახადო დარიცხვის სიდიდე საგადასახადო ბაზის ერთეულზე. არსებობს საგადასახადო განაკვეთის შემდეგი სახეები: მყარი (ფიქსირებული), პროპორციული, პროგრესული, რეგრესული.

საგადასახადო ტვირთი (წნეხი) არის ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ეკონომიკის სხვადასხვა დონეზე (მაკრო, მიკრო) გამოხატავს გადასახდელი გადასახადებისა და საგადასახადო ბაზის თანაფარდობის სიმძიმეს. მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, საგადასახადო ტვირთი არის ამოღებული (ამოსადები) გადასახადების თანხის შეფარდება მთლიან შიგა პროდუქტთან. მიკროეკონომიკური ასპექტით საგადასახადო ტვირთი შეიძლება იყოს საწარმოს ან ეკონომიკის დარგის მიერ გადახდილი (გადასახდელი) გადასახადების თანხის შეფარდება მათ ერთობლივ შემოსავალთან ან მოგებასთან. მაგ. თუ ჩავთვლით, რომ საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი 25 მილიარდი ლარია, ხოლო ბიუჯეტში მობილიზებული გადასახადების თანხა - 6 მილიარდი, მაშინ საგადასახადო ტვირთი იქნება 24 პროცენტი. ზოგადად,

საგადასახადო ტვირთს დაბეგვრის ნორმასაც უწოდებენ, რომელიც არის დაბეგვრის ობიექტებიდან ამოღებული შემოსავლის წილი.

გადასახადების სოციალურ–ეკონომიკური არსი და როლი მათ ფუნქციაში, ანუ საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაზე გადასახადების ზეგავლენის ძირითად მიმართულებებში ვლინდება, ნებისმიერი სისტემური წარმონაქმნის ფუნქცია ხსნის მის არსს, შინაგან შემადგენლობასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

გადასახადის ფუნქცია გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება გადასახადის საზოგადოებრივი დანიშნულების სახელმწიფო შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების, როგორც ინსტრუმენტის რეალიზაცია. გადასახადის ფუნქცია მათი სხვადასხვა თვისების გამოხატვის ხერხს წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის ყველა ქვეყნის მიერ გადასახადი გამოიყენება, როგორც საბიუჯეტო ურთიერთობებზე პირდაპირი ზემოქმედების მეთოდი.

გადასახადების მეშვეობით მიიღწევა საზოგადოებრივი მოთხოვნილებებსა და რესურსებს შორის მათი დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი წინაპირობა, გადასახადების საშუალებით ხდება ბუნებრივი სიმდიდრის რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა, კერძოდ კი, მავნე წარმოებაზე ჯარიმების შემოღების გზით.

გადასახადის ეკონომიკური არსის რეალიზაცია ხდება მათი ძირითადი ფუნქციების მეშვეობით.

როგორც წესი, ნებისმიერი ეკონომიკური კატეგორიის ფუნქციებში ვლინდება მისი არსი, შინაგანი შინაარსი და საზოგადოებრივი დანიშნულება. გადასახადების ფუნქციები გამოხატავს რა, მათ სოციალურ–ეკონომიკურ არსს, გადასახადებისა და მათი სხვა ეკონომიკურ კატეგორიებთან ურთიერთკავშირის გაგების საშუალებას იძლევა.

გადასახადის ფუნქცია გულისხმობს მისი არსისა და თვისების გამოვლენას, აგრეთვე საზოგადოებაში მისი როლის განსაზღვრას. ფუნქცია გვიჩვენებს თუ როგორ ხდება მოცემული ეკონომიკური კატეგორიის, როგორც შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტის გამოყენება, მისი მეშვეობით მოსახლეობის ცალკეულ

ჯგუფებს შორის შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის რეგულირება-სტიმულირება.

გადასახადის ფუნქცია გვიჩვენებს თუ როგორ ხდება მოცემული კატეგორიის, როგორც შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების ინსტრუმენტის გამოყენება, მისი მეშვეობით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გამოთანაბრება და ეკონომიკის რეგულირება-სტიმულირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადასახადებისათვის განსაზღვრავენ ფისკალურ და მარეგულირებელ ფუნქციებს, რომელთაგანაც თითოეული ასახავს გადასახადების შინაგანი არსის ცალკეულ მხარეებს, თავისებურებებსა და ნიშნებს.

ფისკალური ფუნქცია (ფისკი – ხაზინა) ვლინდება სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში, რომელიც აუცილებელია საერთო სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებათა შესასრულებლად. მისი საშუალებით ხდება გადასახადების ძირითადი საზოგადოებრივი დანიშნულების – სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ფორმირება, რომელიც აკუმულირდება ბიუჯეტში და არასაბიუჯეტო ფონდებში. გადასახადის ფისკალური ფუნქციის საშუალებით ხდება სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების რეალიზაცია, განსაკუთრებით კი ბიუჯეტის მეშვეობით თავდაცვის, მართლწესრიგის, სოციალური სფეროებისა და დარგების, გარემოსდაცვითი ღონისძიებების და სხვა სფეროების დაფინანსება.

გადასახადის ფისკალური ფუნქცია, როგორც ამოსავალი და ძირითადი ფუნქცია, დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის, მისი განვითარების ყველა ეტაპზე, რომლის მეშვეობითაც იქმნება ცენტრალიზებული ფულადი ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტის, ან ცენტრალიზებული ფონდების სახით და უზრუნველყოფს სახელმწიფოებრივი ფუნქციონირებისათვის მატერიალურ პირობებს.

სახელმწიფო ხელისუფლება გადასახადების ფისკალური ფუნქციის მეშვეობით უზრუნველყოფს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დაბალანსების მიღწევას;

- საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა რგოლებს შორის საგადასახადო შემოსავლების თანაბარზომიერად გადანაწილებას;

- მაღალი დონის სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნას სახელმწიფოსა და ცალკეულ რეგიონებში;

- ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ამოცანების შესრულებას.

ფისკალური ფუნქციის მნიშვნელობა იზრდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე. გასული, მე-20 საუკუნისათვის დამახასიათებელი იყო ყველა საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა, განპირობებული წარმოების გადიდებითა და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით, რამაც გამოიწვია ეროვნული შემოსავლის გადიდების რეალური შესაძლებლობა და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური რესურსების ზრდა.

გადასახადების ფისკალური ფუნქცია, რომლის მეშეობითაც წარმოებს ეროვნული შემოსავლის ნაწილის განსახელმწიფოებრიობა ფულადი ფორმით, ქმნის ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევისთვის ობიექტურ წინაპირობებს, სწორედ ამიტომ გადასახადის ფისკალური ფუნქცია მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მისი მარეგულირებელი ფუნქციის განვითარებას.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადები აქტიურად მონაწილეობენ რა ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით პროცესში, ასტიმულირებენ, ან ანელებენ ამ პროცესის ტემპებს, აძლიერებენ, ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ, ან ამცირებენ მოსახლეობის მიდევლობით უნარიანობას. გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია მჭიდრო კავშირშია გადასახადების ფისკალურ ფუნქციასთან. სახელმწიფოებისათვის ეროვნული შემოსავლის ნაწილის მობილიზაცია, იქნება ეს მისი გადიდების, თუ შემცირების პოზიციებიდან, მუდმივად იწვევს გადამხდელებთან სისტემატიურ შეხებას, რაც საბოლოო ჯამში, საშუალებას აძლევს ხელისუფლებას რეალური ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, კვლავწარმოების პროცესის ყველა სტადიაზე. საყურადღებოა, რომ მარეგულირებელი ფუნქცია დიდ ეფექტს იძლევა ეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში. ამასთან, კრიზის პირობებში მისი მნიშვნელობა ეცემა.

გადასახადების მარეგულირებელ ფუნქციას ხშირად ეკონომიკურ ფუნქციასაც უწოდებენ, ამ ბოლო დროს ეკონომიკურ ლიტერატურაში მას გადასახადების მასტიმულირებელ ფუნქციადაც მოიხსენიებენ, თუმცა, მისი შინაარსის გაგებაში რაიმე პრინციპული განსხვავება არ შეინიშნება.

გადასახადების მარეგულირებელი ფუნქცია ნიშნავს, რომ გადასახადები, როგორც გადანაწილებითი პროცესის აქტიური მონაწილე სერიოზულ გავლენას ახდენს წარმოებაზე, ასტიმულირებს, ან აბრკოლებს მის ტემპებს, აძლიერებს, ან ასუსტებს კაპიტალის დაგროვებას, აფართოებს, ან ამცირებს მოსახლეობის გადახდისუნარიანობას.

1.3 საქართველოს საგადასახადო სისტემის არსი და სტრუქტურა

სახელმწიფო და მისი შესაბამისი ინსტიტუტების სახით გადასახადის ეკონომიკური დანიშნულების წარმატებით რეალიზაციისათვის ყოველი ეკონომიკური სისტემა შესაბამისი საგადასახადო სისტემის ფორმირებას ახდენს.

საგადასახადო სისტემის ქვეშ იგულისხმება საშემოსავლო, სამომხმარებლო, რესურსული და ქონებრივი გადასახადების ქვესისტემაში სტრუქტურირებული კორპორაციებისა და მოქალაქეების ერთობლივი შემოსავლების ნაწილის განზოგადების იმპერატიული ფორმების, აგრეთვე ეკონომიკურ-სამართლებრივი და მეთოდურ-ფუნქციონალური პრინციპებისა და მოქმედების რეალიზაციაში მომყვანი საფინანსო – საგადასახადო ადმინისტრაციის სახით მართვის სახელმწიფო ორგანოების ერთობლიობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საგადასახადო სისტემა ესაა კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების, მათი პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების დადგენის, ცვლილებების, გაუქმების, გადახდისა და ამოღების, აგრეთვე, გადასახადებისგან თავის არიდებაზე პასუხისმგებლობის ნორმების ერთობლიობა.

კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოღებული გადასახადები, მოსაკრებლები, ბაჟი და სხვა გადასახადები ერთობლიობაში საგადასახადო სისტემას ქმნიან.

გადასახადის მრავალფეროვნების, მათი სახეებისა და სტრუქტურების, ამოღების ხერხების, საბაზისი განაკვეთების, შეღავათებისა და ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური რწმუნების მიხედვით საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, ისინი პრაქტიკაში მრავალგვარი სახითა და ეროვნული თავისებურებების სიმრავლით წარმოგვიდგება.

საგადასახადო სისტემა დროის გარკვეულ პერიოდში, კონკრეტულ სახელმწიფოში მოქმედი გადასახადებით დაბეგვრის არსებითი პირობების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობას, მათ შორის:

- გადასახადების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების წესი;
- საგადასახადო კანონმდებლობის სისტემა და პრინციპები;
- საგადასახადო პოლიტიკის პრინციპები;
- გადასახადების სახეები (გადასახადების სისტემა);
- გადასახადების გადახდის პრინციპები, ფორმები და მეთოდები;
- საგადასახადო ურთიერთობის მონაწილეთა პასუხისმგებლობა;
- გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები;
- საგადასახადო ორგანოების სისტემა;
- საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები;
- საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომა და ა.შ.

ნებისმიერი ქვეყნის საგადასახადო სისტემა მოიცავს საგადასახადო სამსახურების ორგანოებს, საგადასახადო ურთიერთობათა მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს და გადასახადების, მოსაკრებლების და ბაჟის სახით საბიუჯეტო სისტემაში აუცილებელი გადასახადების ერთობლიობას.

თანამედროვე განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემათა ჩამოყალიბება სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით მოხდა. გადასახადების სახეების, მათი სტრუქტურის, ამოღების წესების, განაკვეთების, ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ფისკალური უფლებამოსილების, საგადასახადო ბაზის, გადასახადების მოქმედების სფეროს, საგადასახადო შეღავათების მიხედვით

განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემები ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდებიან.

ამასთან, განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემებს გააჩნიათ საერთო თავისებურებებიც, კერძოდ:

1. საგადასახადო სისტემები ეყრდნობა ეკონომიკური თეორიის ისეთ ცნობილ პრინციპებს, როგორცაა: საგადასახადო დაბეგვრის თანასწორობა, სამართლიანობა, ეფექტიანობა;

2. სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების გადიდების ახალი გზების ძიება;

3. გადასახადები იბეგრება საქონლის მწარმოებლების, საოჯახო მეურნეობების ან კომპანიების შემოსავლის წყაროსთან;

4. საგადასახადო დაბეგვრას ექვემდებარება საოჯახო მეურნეობის, ან მათი წევრების შემოსავლები, საბოლოო მომხმარებელთა ხარჯები, საცალო ვაჭრობის შემოსავლები, სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მთლიანი შემოსავლები, სამეწარმო შემოსავლები საამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით, შრომის ანაზღაურების ფონდი, მოგება, ხელფასი, დანაზოგები, დივიდენდები.

საქართველოს საგადასახადო სისტემას საფუძველი მისი სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესში ჩაეყარა. ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საგადასახადო სისტემის წინაშე კონკრეტული ამოცანები იდგა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას უნდა უზრუნველყო სახელმწიფოს კუთვნილი შემოსავლების მობილიზება სახელმწიფოს მიერვე განსაზღვრული ხარჯების დასაფარავად.

საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალ შემოსავლების სამსახურის ორგანოებს; საგადასახადო ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას; გადასახადების შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს; გადასახადების ადმინისტრირების წესებს; გადასახადების გადახდასთან და საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს, საქართველოს

საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადაწყვეტის წესს.

საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება მოსალოდნელი მაკროეკონომიკური დისპროპორციების მიზეზების გათვალისწინებით, რომ განისაზღვროს თუ როგორი საგადასახადო – საბიუჯეტო სისტემა და პოლიტიკა შეუწყობს ხელს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციური პროცესების შემცირებას. ეს კი მიიღწევა ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირების ღონისძიებათა ოპტიმალური შეთანწყობის უზრუნველყოფით, ფისკალური სტრუქტურის გაუმჯობესებით. საგადასახადო შემოსავლების გადიდების ღონისძიებათა შემუშავებისას საჭიროა განისაზღვროს რამდენად ადვილად და ეფექტიანად შეიძლება გაიზარდოს შემოსავლები არსებული საგადასახადო სისტემის პირობებში. საგადასახადო შემოსავლების გადიდების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ანალიზისას არ უნდა გამორჩეს ხელისუფლებას მხედველობიდან მათი ზემოქმედება ფასებზე, მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მოთხოვნა–მიწოდების ელასტიკურობიდან გამომდინარე გადასახადებს შესწევთ უნარი სხვადასხვა დოზით იმოქმედოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე.

საგადასახადო–საბიუჯეტო პოლიტიკის წარმატებით შედეგის უზრუნველყოფა მოითხოვს საგადასახადო სისტემის ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებას, როგორცაა: სტაბილუობა და ელასტიკურობა, ეფექტიანობა, სამართლიანობა, მართვის სიმარტივე, მოხერხებულობა, საგადასახადო ტვირთის გონივრული საზღვრების დადგენა. აუცილებელია საგადასახადო ბაზის მაქსიმიზაცია და შედარებით დაბალი საგადასახადო განაკვეთის დაწესება, რაც საბოლოო ჯამში სტაბილურობის გარანტიაა. საგადასახადო პოლიტიკის შედეგების ოპტიმალურობის მიღწევა იმიტომ არის აუცილებელი, რომ საგადასახადო ტვირთი თანაბრად გადანაწილდეს სამეურნეო სუბიექტებს შორის.

თავი 2. საქართველოს პირდაპირი გადასახადების სისტემის აგების მეთოდოლოგიური საფუძვლები

2.1 საშემოსავლო გადასახადი

საშემოსავლო გადასახადის კლასიკური სისტემა დიდ ბრიტანეთში ჩაისახა, მაგრამ ინგლისელ ჯენტლმენებს სირცხვილად მიაჩნდათ მოქალაქის პირდაპირ დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით, ამიტომ დაბეგვრის ობიექტების როლში ხან სახლის ფანჯრები და ხან ბუხრის მილები გამოდიოდა.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელია:

- რეზიდენტი ფიზიკური პირი, ანუ პირი რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში;

- არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული გადახდის წყაროდან.

რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

საქართველოში არსებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი არარეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მუდმივ დაწესებულებასთან დაკავშირებულ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. არარეზიდენტი ფიზიკური პირის ერთობლივი შემოსავალი, რომელიც

დაკავშირებული არ არის მის მუდმივ დაწესებულებასთან, იბეგრება ამ კოდექსის შესაბამისად გადახდის წყაროსთან გამოქვითვების გარეშე.

არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომელიც შემოსავალს იღებს ქონების რეალიზაციით, წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული ერთობლივი შემოსავლიდან, რომელიც მცირდება ამ პერიოდისათვის ასეთი შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებით.

ქონების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება:

- რეზიდენტი იურიდიული პირის ჩვეულებრივი აქციების ან პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი; აქტივებით მიღებული შემოსავლები;

- ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი; სხვა ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 20%-ით.

ფიზიკური პირი, რომლის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 6000 ლარს, უფლებამოსილია ამ შემოსავლიდან გამოიქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი - 1800 ლარი.

ზემოაღნიშნულ დასაბეგრ შემოსავალში არ გაითვალისწინება საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებული ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი.

დაუბეგრავი მინიმუმის გათვალისწინებით, გადახდის წყაროსთან დაკავებული საშემოსავლო გადასახადის გადაანგარიშება და შესაბამისი თანხის დაბრუნება ხორციელდება დაქირავებულის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის შესახებ დეკლარაციის საგადასახადო ორგანოში წარდგენით.

საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები: არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და მასთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მუშაობით მიღებული შემოსავლები; ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია, მაგროვებადი და დაბრუნებადი ხასიათის არასახელმწიფო საპენსიო სქემიდან

მიღებული პენსია განხორციელებული შენატანების ოდენობით, სახელმწიფო სტიპენდია, სახელმწიფო ბიუჯეტში ან ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივ ბიუჯეტებში გათვალისწინებული ასიგნებებით გამოყოფილი დახმარება ან ერთჯერადი განაცემი (მათ შორის, ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები); ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს ან/და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისათვის ან/და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწვრთნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები; ალიმენტი; განქორწინების საფუძველზე ფიზიკური პირის მიერ მიღებული ქონების ღირებულება (შემოსავალი); ფიზიკური პირის მიერ: 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი. აღნიშნული 2-წლიანი ვადა აითვლება საქართველოს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი (წარსადგენი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით, ხოლო „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც სხვაობა საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციის ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის, გარდა საკუთრების უფლების უსასყიდლოდ მიღებისა (სახელმწიფო პრივატიზებისას, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას ან სხვა შემთხვევებში), როდესაც ნამეტი იანგარიშება, როგორც სხვაობა უსასყიდლოდ მიღებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციის ფასსა და მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის; საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან 6 თვეზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების რეალიზაციით მიღებული ნამეტი;

ორ წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი, გარდა ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული აქტივებისა. აღნიშნული 2-წლიანი ვადა უძრავი ქონების რეალიზაციის შემთხვევაში აითვლება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით წარდგენილი

(წარსადგენი) საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღის მიხედვით, ხოლო „რეალიზაციით მიღებული ნამეტი“ იანგარიშება, როგორც სხვაობა ქონების რეალიზაციის ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის, გარდა საკუთრების უფლების უსასყიდლოდ მიღებისა (სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას, ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებისას ან სხვა შემთხვევებში), როდესაც ნამეტი იანგარიშება, როგორც სხვაობა უსასყიდლოდ მიღებული ქონების რეალიზაციის ფასსა და მიღების მომენტში მის საბაზრო ფასს შორის; საწარმოს ლიკვიდაციის ან კაპიტალის შემცირების გზით ამ საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირზე წილის სანაცვლოდ უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით მიღებული ნამეტი, თუ საწარმოს წილზე ფიზიკური პირის საკუთრების უფლების წარმოშობიდან გასულია 2 წელზე მეტი. ამ შემთხვევაში საკუთრების 2-წლიანი ვადა იანგარიშება ფიზიკური პირის მიერ ამ საწარმოში შესაბამისი წილის შეძენის დღიდან, ხოლო წილის სხვადასხვა დროს შეძენის შემთხვევაში 2-წლიანი ვადა იანგარიშება შესაბამისი წილის შეძენის თარიღიდან; საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება; საგადასახადო წლის განმავლობაში ფიზიკური პირისაგან 1000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულება; საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების, ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება; ფიზიკური პირისათვის (დონორისათვის) გაღებული სისხლის საკომპენსაციო კვებისათვის გაცემული თანხა; 2010 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული შემოსავალი და დაქირავებული ფიზიკური პირისათვის გაცემული ანაზღაურება, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ამ ფიზიკური პირის მიერ ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 100 000 ლარს;

პრივატიზების წესით (უსასყიდლოდ), ასევე მიწისძვრითა და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულების მიერ დაზიანებული ბინების სანაცვლოდ

იმავე დასახლებულ პუნქტში ან ეკომიგრანტების მიერ სხვა დასახლებულ პუნქტში უსასყიდლოდ მიღებული ბინების ღირებულება. არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი საწარმოს, ორგანიზაციის ან/და მეწარმე ფიზიკური პირის მიერ რისკის დაზღვევისა და გადაზღვევის საფუძველზე, აგრეთვე არარეზიდენტის მიერ ქონების ლიზინგით გაცემიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში; რეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც არ განეკუთვნება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლებს.

საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე; ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, აგრეთვე მხედველობის გამო I და II ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის; მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის სამი ან სამზე მეტი შვილი) პირის მიერ აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ, ერთ- ან ორშვილიან (პირის კმაყოფაზე მყოფი 18 წლამდე ასაკის ერთი ან ორი შვილი) პირს აღნიშნულ რეგიონებში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ 3000 ლარამდე დასაბეგრ შემოსავალზე გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50 პროცენტით.

საშემოსავლო გადასახადში არსებოს შეღავათიანი დაბეგვრის სისტემა იგივე პეციალური დაბეგვრის რეჟიმები.

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ვრცელდება:

- ა) მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე;
- ბ) მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებზე;
- გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირებზე

2.2 სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები „მიკრო ბიზნესი“

მიკრო ბიზნესის სტატუსი ენიჭება

მიკრო ბიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულ ფიზიკურ პირს. მიკრო ბიზნესის სტატუსის მისანიჭებლად არ არის სავალდებულო პირი იყოს რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკურ პირად.

მიკრობიზნესის სტატუსი შესაძლებელია მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც:

არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას;

დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლის მიხედვითაც მის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 30 000 ლარს.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი:

გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან;

არ იხდის მიმდინარე გადასახდელებს;

მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში არ ევალება გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება;

არარეზიდენტი პირისგან მიღებული მომსახურების ანაზღაურების შემთხვევაში იგი ვალდებულია ოპერაცია დაბეგროს დღგ-ით საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული უკუდაბეგვრის წესით.

გათავისუფლებულია საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან.

მიკრო ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობებს მიეკუთვნება:

საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას;

საქმიანობები, რომლებიდანაც მიღებულმა შემოსავლებმა კალენდარული წლის განმავლობაში შესაძლოა გადააჭარბოს 30 000 ლარს;

სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

სათამაშო ბიზნესი;

ვაჭრობა (აღნიშნული აკრძალვა არ ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ხორციელდება პირის მიერ წარმოებული ან შესყიდული საქონლის გადამუშავება და მიწოდება).

მიკრო ბიზნესის შემოსავლები, რომლებიც იბეგრება საერთო წესით:

ქონების იჯარით/უძრავი ქონების ქირით გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები.

ჩუქებით მიღებული შემოსავალი.

ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;

გ) ფასიანი ქაღალდები.

მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი.

დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი.

პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.

როიალტის სახით მიღებული შემოსავალი.

ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი.

მიკრო ბიზნესის სტატუსის მისანიჭებლად:

პირი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის სერვის ცენტრს ან ელექტრონულად წარადგენს განცხადებას შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის საშუალებით. საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას და მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ გასცემს მიკრო ბიზნესის სერტიფიკატს. სერტიფიკატი ძალაშია შემდგომ საანგარიშო პერიოდებშიც, თუ ფიზიკურ პირს არ უუქმდება მიკრო ბიზნესის სტატუსი. ფიზიკურ პირს, რომელსაც გაუუქმდა მიკრო ბიზნესის სტატუსი, უფლებამოსილია მომდევნო საგადასახადო წლიდან ამ სტატუსის ხელახალი მინიჭების მოთხოვნით მიმართოს საგადასახადო ორგანოს.

საგადასახადო ანგარიშგება

მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს გამარტივებული საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

2.3 სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები „მცირე ბიზნესი“

ვის ენიჭება მცირე ბიზნესის სტატუსი

მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს.

მეწარმე ფიზიკურ პირად ითვლება:

ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობას.

ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ არასამეწარმეო საქმიანობას.
კერძოდ: სახელოვნებო, სამეცნიერო საქმიანობას.

მცირე ბიზნესის გადასახადის განაკვეთები:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება :

1%-ით;

3%-ით, თუ მისმა ერთობლივმა შემოსავალმა 500 000 ლარს გადააჭარბა.

შენიშვნა: პირი 3%-იანი განაკვეთით იბეგრება შესაბამისი თვის (ერთობლივი შემოსავლის 500 000-ლარიანი ზღვრის გადაჭარბების დაფიქსირების თვე) დასაწყისიდან კალენდარული წლის დასრულებამდე.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ გადახდილი ხელფასი

დაქირავებული პირებისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში ჯამურად გადახდილი 6 000 ლარამდე ხელფასი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი პირობა:

- იგი ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა და მას მცირე ბიზნესის სტატუსი მიენიჭა იმავე კალენდარული წლის განმავლობაში.
- მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ერთობლივი შემოსავალი 50 000 ლარს არ აჭარბებს.

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის ვალდებულებები

ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატი;

აწარმოოს აღრიცხვის სპეციალურ ჟურნალი;

საქონლის ტრანსპორტირებისას ან/და მიწოდებისას გამოიყენოს სასაქონლო ზედნადები;

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირი, რომელსაც წარმოეშვა დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, დარეგისტრირდეს დღგ-ის გადამხდელად.

მცირე ბიზნესისთვის აკრძალულ საქმიანობებს მიეკუთვნება:

საქმიანობები, რომლებიც საჭიროებენ ლიცენზირებას ან ნებართვას, გარდა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 261 პუნქტით გათვალისწინებული („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვა“) საქმიანობისა.

საქმიანობები, რომელთა განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას (აქციზური საქონლის წარმოება);

სავალუტო ოპერაციების განხორციელება;

სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა) საქმიანობა;

სათამაშო ბიზნესი;

პერსონალით უზრუნველყოფა;

აქციზური საქონლის წარმოება.

მცირე ბიზნესის შემოსავლები, რომლებიც იბეგრება საერთო წესით:

ქონების იჯარით/უძრავი ქონების ქირით გაცემა.

სესხის გაცემიდან მიღებული შემოსავალი.

სათამაშო ბიზნესიდან მიღებული მოგებები.

ჩუქება.

ნამეტი შემოსავალი, რომელიც მიღებულია შემდეგი ქონების რეალიზაციით:

ა) უძრავი ქონება;

ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალება;

გ) ფასიანი ქაღალდები.

მემკვიდრეობით მიღებული ქონების სახით მიღებული შემოსავალი.

დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი.

პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი.

როიალტის სახით მიღებული შემოსავალი.

ვალის პატიებით მიღებული შემოსავალი.

პარტნიორის წილის რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭება

მეწარმე ფიზიკური პირი განცხადებით მიმართავს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის სერვის ცენტრს/რაიონულ განყოფილებას ან ელექტრონულად წარადგენს განცხადებას შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის -www.rs.ge-ს მეშვეობით.

საგადასახადო ორგანო განიხილავს განცხადებას (ამ ინსტრუქციის დანართი №1) სტატუსის მინიჭების თაობაზე და განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, განცხადების მიღებიდან გონივრულ ვადაში გასცემს მცირე ბიზნესის სერტიფიკატს.

მცირე ბიზნესის სტატუსი პირს ენიჭება საგადასახადო ორგანოსთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭების თაობაზე განცხადებით მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და პირი სტატუსის მქონედ ითვლება აღნიშნული თარიღიდან.

საგადასახადო ანგარიშგება:

მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა:

წარმოადგინოს ყოველთვიური საგადასახადო დეკლარაცია;

გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი;

2.4 სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

„ფიქსირებული გადასახადი“

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას.

ფიქსირებული გადასახადი ვრცელდება მხოლოდ შემდეგ ჩამონათვალზე:

- თონეში წარმოებული/საწარმოებელი (ნახევარფაბრიკატი) საქონლის მიწოდება ან/და თონეთი გაწეული მომსახურება.
- თმის შეჭრის, შესწორების, დაწყობის (მათ შორის, თმის დაგრძელების), შეღებვის, დახვევის, გასწორების, გაპარსვის, წვერის შესწორების, მაკიაჟის (მათ შორის, წამწამების დაგრძელების), მასაჟის (სამედიცინო მასაჟის გარდა), წარბების

კორექციის, ეპილაციის (ლაზერული ეპილაციის გარდა), დეპილაციის, კოსმეტოლოგის მომსახურება.

- მანიკურის და პედიკურის (მათ შორის, ფრჩხილების დაგრძელების) მომსახურება.
- სოლარიუმის მომსახურება.
- ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი, მათ შორის, სალტეების, საბურავების აღდგენა და რეგენერაცია, აღნიშნული მომსახურებისათვის განკუთვნილ ფართობზე გაწეული სხვა მომსახურება (ხალიჩების რეცხვა).

ზემოაღნიშნული საქმიანობის ამ ნაწილში პირს უფლება აქვს, საშემოსავლო/მოგების გადასახადის ნაცვლად, გადაიხადოს ფიქსირებული გადასახადი.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მიღების შემთხვევაში პირი თავისუფლდება შემდეგი ვალდებულებისგან:

- საქმიანობის ამ ნაწილში გათავისუფლებულია საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისაგან;
- გათავისუფლებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის - ბუღალტერიის წარმოების ვალდებულებისაგან;
- გათავისუფლებულია საშემოსავლო/მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებისაგან;
- თუ აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი გადააჭარბებს 100 000 ლარს, არ დაეკისრება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.
- თუ წლის გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ზამთარში, ზაფხულში ან სხვა სეზონზე) პირი შეაჩერებს საქმიანობას, მან უნდა აცნობოს შემოსავლების სამსახურს, ხოლო საქმიანობის შეჩერების პერიოდში არ დაეკისრება ფიქსირებული გადასახადის გადახდის ვალდებულება.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის გააჩნია გარკვეული შეზღუდვები:

- თუ პირი არის დღგ-ის გადამხდელი, ვერ მიიღებს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსს;
- სხვა პირი ვერ ჩაითვლის ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირის მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, შესაბამისად, ვერ გამოიყენებს მის მიერ გამოწერილი ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს;

- თუ პირს ერთდროულად აქვს თონე და რესტორანი და თონეში გამომცხვარ პურს ან სხვა დასახელების პროდუქტს იყენებს სარესტორნო მომსახურებაში, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი არ მიენიჭება.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს დამატებითი საქმიანობის განხორციელებისას:

- თუ პირი დამატებით ახორციელებს სხვა საქმიანობას, დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში ვალდებული არის, საშემოსავლო/მოგების გადასახადი გადაიხადოს საერთო წესით. ამასთან, დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უფლება აქვს დამატებით განხორციელებული საქმიანობის ნაწილში მიიღოს მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსი.
- თუ პირი სარგებლობს მიკრო ან მცირე ბიზნესის სტატუსით, უფლება აქვს მიმართოს შემოსავლების სამსახურს საქმიანობის ამ ნაწილში მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის გაუქმების მოთხოვნით და მიიღოს ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსი ან შეინარჩუნოს მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსი.

ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება არის ნებაყოფლობითი და პირი თავისუფალია აირჩიოს რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ მისთვის კომფორტული დაბეგვრის რეჟიმი:

- პირს უფლება აქვს აირჩიოს: გადაიხადოს საშემოსავლო/მოგების გადასახადი საერთო წესით ან გადაიხადოს ფიქსირებული გადასახადი.
- ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მიღების მიზნით, განცხადებით უნდა მიმართოს შემოსავლების სამსახურს. აღნიშნული შესაძლებელია ელექტრონული ფორმით, შემოსავლების სამსახურში მიუსვლელოდ.
- პირს უფლება აქვს ფიქსირებული გადასახადის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით შემოსავლების სამსახურს მიმართოს წლის ნებისმიერ თვეს.

ფიქსირებული გადასახადის გადახდა ხორციელდება წინასწარ, თვის დაწყებამდე, ობიექტის რაოდენობის გაზრდის/შემცირების შემთხვევაში, სავალდებულოა, მიმართოს შემოსავლების სამსახურს.

2.5 მოგების გადასახადი

დღევანდელ საქართველოსი მოგების გადასახადის ეგროდწოდებული ესტონური მოდელის დაბეგვრის რეჟიმი მოქმედებს. აღნიშნული დაბეგვრის რეჟიმი 2000 წელს ესტონეთში შემოიღეს და ამიტომეც დაერქვა ესტონური მოდელი (ფულადი ნაკადების დაბეგვრის მოდელი).

მოგების გადასახადის გადამხდელია:

- რეზიდენტი საწარმო;
- არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავლებს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

ამასთანავე, მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმო, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალზე (გარდა ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავალისა) იბეგრება გადახდის წყაროსთან; მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი საწარმოსთვის, რომელიც ქონების რეალიზაციით იღებს შემოსავალს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის.

ესტონური მოდელით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა:

- ✓ ორგანიზაციებისთვის, 2019 წლის პირველ იანვრამდე;
- ✓ „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების განმახორციელებელი პირებისთვის, ამ მოგების ნაწილში;
- ✓ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთკავკასიური მილსადენის პროექტის მონაწილეებისთვის, ამ პროექტის ფარგლებში მიღებული მოგების ნაწილში.
- ✓ კომერციული ბანკებისთვის, საკრედიტო კავშირებისთვის, სადაზღვევო, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის და ლომბარდებისთვის, 2023 წლის პირველ იანვრამდე.
- ✓

ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში პირისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის

ნაწილში არის ამ საქმიანობის მიხედვით ყოველი საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების ჯამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი

„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებების“ განხორციელების შედეგად ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებული მოგება იბეგრება 10 პროცენტით, თუ ეს ხელშეკრულებები დადებულია 1998 წლის 1 იანვრამდე.

მოგების გადასახადით იბეგრება:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0.85-ზე გაყოფის შედეგად.

რაც შეეხება მოგების განაწილებას და რა განიხილება მასში:

- რეზიდენტი საწარმოს მიერ დივიდენდის (ფულადი/არაფულადი სახით) განაწილება;
- არარეზიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დაწესებულებისთვის მიკუთვნებული მოგების გატანა;
- საწარმოს მიერ ურთიერთამოკიდებულ პირთან (გარდა, პირისა რომელიც იბეგრება ახალი წესით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს:
- გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს;
- გარიგების შედეგად გაწეულ ხარჯსა და გარიგების საბაზრო ფასს შორის სხვაობას, თუ გარიგების შედეგად გაწეული ხარჯი აღემატება გარიგების საბაზრო ფასს;

- კონტროლირებული ოპერაციის განხორციელება, თუ ამ ოპერაციის დადგენილი პირობები არ შეესაბამება საბაზრო პრინციპს; ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა განისაზღვრება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით გამომანგარიშებული კორექტირების თანხით;
- საწარმოს მიერ საშემოსავლო გადასახადისაგან/მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირთან (გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციის, სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და საქართველოს ეროვნული ბანკისა) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან.
- საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით;
- საწარმოს ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (საწესდებოსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება;

საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირად ჩაითვლება პირი:

- ა) რომელიც შექმნილია ან რომელსაც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მიზნით.
- ბ) რომელიც ახორციელებს საშემოსავლო/მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ სანებართვო

მოგების განაწილებად არ განიხილება:

შპს-ზე, სს-ზე, კს-ზე, სპს-ზე და კოოპერატივზე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდის განაწილება.

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად მიიჩნევა, ხოლო ამ დივიდენდის მიმღები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირის (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) მიერ მისი შემდგომი განაწილება მოგების განაწილებად არ მიიჩნევა;

ბ) 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება მოგების განაწილებად არ მიიჩნევა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან კომერციულ ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო

ორგანიზაცია და ლომბარდი) პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება მოგების განაწილებად არ ითვლება;

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი (კომერციულ ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი) პირზე დივიდენდის განაწილება, აგრეთვე 2017 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან (კომერციულ ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი) პირზე დივიდენდის 2023 წლის 1 იანვრამდე განაწილება მოგების განაწილებად ითვლება.

საწარმოს მიერ კაპიტალის შემცირებით სახელმწიფოსათვის ან/და მუნიციპალიტეტისათვის აქტივების გადაცემა, თუ ამ საწარმოს აქციების/წილის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფოს ან/და მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია;

საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისა) მიღებული დივიდენდის განაწილება;

ზემოაღნიშნული ჩანაწერით გათვალისწინებული თანხის იდენტიფიცირებისათვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა.

დასაბეგრი ხარჯები/განაცემები მოგების გადასახადით დაიბეგრება :

- ხარჯი, რომელიც არ არის დოკუმენტურად დადასტურებული;
- ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება; სხვა ხარჯი, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით არ იქვეთება ერთობლივი შემოსავლიდან (კერძოდ: მიკრო ბიზნესი, ფიქსირებული, სპეციალური სავაჭრო კომპანია);
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისთვის (სესხისთვის) გადახდილი პროცენტი;
- ფიზიკური პირისათვის ან არარეზიდენტისათვის სესხის გაცემა;
- პარტნიორი ფიზიკური პირის ან პარტნიორი არარეზიდენტის მიერ მესამე პირისაგან აღებული სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა.
- არარეზიდენტის, აგრეთვე მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა.
- დასაბეგრ ხარჯად/განაცემად არ ითვლება ის, რაც იბეგრება მოგების განაწილებად და ფულის, საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდებად; აგრეთვე, გადახდის წყაროსთან დაბეგრილი განაცემის განსახორციელებლად გაწეული ხარჯი.
- გადახდილი თანხების დაბეგვრა, მოგების გადასახადით დაიბეგრება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანის კომპანიიდან/თვის და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისაგან/თვის (გარდა საბიუჯეტო

ორგანიზაციისა სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს და საქართველოს ეროვნული ბანკისა):

- ფასიანი ქაღალდების შექმნა;
- სესხის გაცემა;
- ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შექმნა;
- ავანსის გადახდა;
- პირგასამტეხლოს ან/და სხვა ჯარიმების გადახდა;
- მოთხოვნის უფლების გადაცემა ან მასზე უარის თქმა, რომლის შედეგად წარმოიშვა ზარალი.

გადახდილი თანხების ჩათვლა შესაძლებელია.

- პირი უფლებამოსილია მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;
- ფიზიკურ პირზე და არარეზიდენტზე გაცემული სესხის ძირითადი თანხის დაბრუნება;
- შექმნილი (შეღვათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისგან, მოგებისგან გათავისუფლებული პირისგან) მოთხოვნის ან/და სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდების შედეგად განხორციელებული ანაზღაურება;
- შექმნილი (არარეზიდენტის, მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისგან) კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) მიწოდების შედეგად განხორციელებული ანაზღაურება;
- შეღვათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისთვის გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება ან სანაცვლო აქტივის მიღება;
- სესხის დეპოზიტით უზრუნველყოფის გაუქმება.
- ფულის, საქონლის/მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდება

უსასყიდლო მიწოდებად ჩაითვლება და შესაბამისად გადასახადით დაიბეგრება:

- საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რომლის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი;
- აგრეთვე, მოგების გადასახადით დაიბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის ან/და ფულადი სახსრების გადაცემის შემდეგი შემთხვევები:
- კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემოწირულება, რომელიც მის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტზე მეტია;

- ფიზიკური პირისათვის საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემა.

მოგების გადასახადით არ დაიბეგრება :

- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც იბეგრება გადახდის წყაროსთან;
- სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ მიწოდება, თუ ამ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;
- უსასყიდლო თავდებობისა და სერვიტუტის მომსახურება;
- წარმომადგენლობითი ხარჯების დაბეგვრაგადასახადით დაიბეგრება მოცემულ ნორმებზე გადამეტებული ხარჯები;
- კალენდარული წლის განმავლობაში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის 1 პროცენტი, ხოლო თუ გაწეული ხარჯი აღემატება მიღებულ შემოსავალს – გაწეული ხარჯის 1 პროცენტი;
- საწარმოს დაფუძნების კალენდარულ წელს გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯის ზღვრული ოდენობაა მიმდინარე კალენდარული წლის დასრულებამდე გაწეული ხარჯის 1 პროცენტი.

თუ პირს გააჩნია მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული მოგება, მისი იდენტიფიცირებისათვის ითვლება, რომ საწარმოს მიერ დივიდენდის განაწილებისას პირველ რიგში ეს თანხა გაიცემა

ჩასათვლელი თანხის გაანგარიშება

თუ საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008-2016 წლების გაუნაწილებელი წმინდა მოგებიდან, იგი ჩაითვლის ამ პერიოდების მიხედვით დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადს.

ჩასათვლელი თანხა გამოიანგარიშება ფორმულით $A \times B / (C - D)$

- A - დივიდენდის სახით გასანაწილებელი თანხის ოდენობა;
- B - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;
- C - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ოდენობა;

- D - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგების ხარჯზე დივიდენდის სანაცვლოდ საწარმოს მიერ პარტნიორისთვის გადაცემული ამ საწარმოს აქციების/წილის ღირებულება.

2.6 ქონების გადასახადი

ქონების გადასახადი არის ადგილობრივი გადასახადი, რომლის შემოღების უფლებამოსილება აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.

ქონების გადასახადის გადამხდელები შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით სამ კატეგორიად იყოფა:

1) რეზიდენტი საწარმო(ორგანიზაცია) - დაბეგვრის ობიექტი:

- ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები; დაუმონტაჟებელი მოწყობილობები; დაუმთავრებელ მშენებლობაზე; მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

2) არარეზიდენტი საწარმო - დაბეგვრის ობიექტი:

- საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა; საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ქონება.

3) ფიზიკური პირი - დაბეგვრის ობიექტი:

- საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება; დაუმთავრებელი მშენებლობა; შენობა-ნაგებობა ან მათი ნაწილი; იახტები; კატარლები; შვეულმფრენები; თვითმფრინავები; არარეზიდენტისაგან ლიზინგით მიღებული ქონება; ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მის ბალანსზე

ძირითად საშუალებად ღრიცხული აქტივები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, მის მიერ ლიზინგით გაცემული ქონება.

ფიზიკური პირის ქონების გადასახადის გადამხდელია მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქონებით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

ქონების გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია საწარმოებისათვის და ფიზიკური პირებისათვის. კერძოდ:

საწარმოსათვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. შესაბამისად, დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში მხოლოდ უძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა გაიზარდოს:

- 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 3 - ჯერ;
- 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე - 2 - ჯერ;
- 2004 წელს მიღებულ აქტივებზე - 1.5 - ჯერ;
- იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს, - ამ ნაწილის „ა.ა“ პუნქტით განსაზღვრული ოდენობით.

ზემოაღნიშნული აფასება არ ვრცელდება:

- საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავს გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება; ამასთანავე, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით;

- საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სახელმწიფო საწარმოებზე;
 - საწარმოსთვის(ორგანიზაციისთვის), გარდა სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ ქონებაზე, ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი განისაზღვრება დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით. ამ ნაწილის მიზნებისათვის ლიზინგით გაცემული დასაბეგრი ქონების საბალანსო ღირებულება არის ქონების გაცემის მომენტისათვის არსებული ღირებულება, ხოლო ყოველი მომდევნო წლისათვის ქონების ღირებულებად ითვლება აღნიშნული ქონების ნარჩენი საბალანსო ღირებულება, რომელიც ამ ქონებას ექნებოდა ლიზინგით არგაცემის შემთხვევაში;
 - სალიზინგო კომპანიისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე წლიური გადასახადი ლიზინგის მთელი პერიოდის განმავლობაში განისაზღვრება მის მიერ დასაბეგრი ქონების ლიზინგით პირველად გაცემის მომენტისათვის არსებული საბალანსო საწყისი ღირებულების არა უმეტეს 0.6 პროცენტის ოდენობით.
 - ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:
 - 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არაუმეტეს 0.2 პროცენტისა;
 - 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არაუმეტეს 1 პროცენტისა.

ქონების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებულ შემოსავლებში შეიტანება ყველა შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი საგადასახადო შეღავათების გაუთვალისწინებლად, კერძოდ:

- ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, გარდა „დ“ ქვეკუთხედით გათვალისწინებული შემთხვევისა;
- ნებისმიერი შემოსავალი, მათ შორის, სარგებელი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- დარიცხული ხელფასი;
- მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირებისათვის:
 - სპეციალური რეჟიმით დაბეგვრას დაქვემდებარებული დასაბეგრი შემოსავლის 25 პროცენტი;
 - დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება მცირე ბიზნესის სპეციალური რეჟიმით დასაბეგრი შემოსავალს.

ზემოაღნიშნულ შემოსავლებში არ შეიტანება:

- ოჯახის წევრებისაგან მემკვიდრეობით, ჩუქებით ან განქორწინების საფუძველზე მიღებული ქონების ღირებულება;
- ფიზიკური პირის მიერ (მათ შორის, I რიგის მემკვიდრის მიერ ჯამურად თავისი და მამკვიდრებლის) 2 წელზე მეტი ვადით მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის - დევნილთათვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების თავდაპირველი რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;
- ფიქსირებული გადასახადის გადამხდელისა და მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირის მიერ აღნიშნული ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

საქართველოს მოქალაქე არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან მიმართებით შმოსავლები განისაზღვრება საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლების მიხედვით.

დასაბეგრ ქონებაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 31 დეკემბრისათვის მოქმედი განაკვეთით.

საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს, გარდა იმ საწარმოებისა, რომლებზეც ქონების აფასება არ ვრცელდება, საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით. თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას:

- პირს დასაბეგრი ქონების ღირებულების სხვაობაზე დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. ამასთანავე, აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან, ხოლო აღნიშნული სხვაობა გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება;
- პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.

რაც შეეხება მიწის გადასახადს, მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

- მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომელთაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი;
- მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

სასოფლო - სამეურნეო დანიშნულებისა და ტყის მიწებზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთები დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ - ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის კატეგორიების მიხედვით და დგინდება 1 ჰექტარზე გაანგარიშებით.

არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები გაიანგარიშება კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწა იბეგრება ერთ ჰექტარზე არა უმეტეს 3 ლარით.

მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთების მიხედვით.

ქონების გადასახადის გადახდის პროცედურები დიფერენცირებულია საწარმოებისათვის და ფიზიკური პირებისათვის. ზოგადად, ქონების გადასახადის საგადახდო პერიოდად ითვლება კალენდარული წელი.

საწარმო (ორგანიზაცია) ქონების გადასახადის დეკლარაციას შესაბამის საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 აპრილისა და ამავე ვადაში იხდის ქონების გადასახადს. საწარმო/ორგანიზაცია მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

ფიზიკური პირის ქონების გადასახადს გამოიანგარიშებს საგადასახადო ორგანო წარდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

ფიზიკური პირი ქონების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს წარუდგენს არა უგვიანეს კალენდარული წლის 1 ნოემბრისა. დეკლარაციაში მონაცემები დასაბეგრი ქონების შესახებ შეიტანება გასული საგადასახადო წლის მიხედვით, ხოლო დასაბეგრი მიწის შესახებ - მიმდინარე საგადასახადო წლის მიხედვით.

ფიზიკური პირი ქონებაზე და მიწაზე ქონების გადასახადს იხდის არა უგვიანეს კალენდარული წლის 15 ნოემბრისა.

ქონების გადასახადის გადახდისგან გათავისუფლებულია სხვადასხვა ტიპის ქონება მაგალითად: ბიოლოგიური აქტივი, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება, საქართველოს რეზიდენტისგან ლიზინგით მიღებული ქონება, სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული, სამედიცინო დაწესებულებებზე დამაგრებული მიწის ნაკვეთები, ფიზიკური პირის დასაბეგრი ქონება (გარდა მიწისა), თუ ამ პირის ოჯახის მიერ დასაბეგრი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები არ

აღმატება 40 000 ლარს და ასე შემდეგ. ეს უკანასკნელი დრეგანდელ რეალობაში ყველაზე აქტუალურია საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის, იმის დადგენა თუ ვინ განიხილება ქონების გადასახადის დაბეგვრის მიზნებისთვის ოჯახის წევრად, როგორ უნდა ვიანგარიშოთ დასაბეგრი შემოსავალი და ა.შ.

დადგენილი საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა პირისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ან მის ნაწილზე) ან/და საწარმოს/ორგანიზაციის მიერ ამავე ფორმით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე (ან მათ ნაწილზე).

თუ დეკლარაციის წარდგენის ვადის გასვლის შემდეგ პირმა იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გასცა მიწის ნაკვეთი, ამ პირზე საგადასახადო შეღავათი აღარ გავრცელდება. ამასთანავე, პირი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის ბოლომდე წარუდგინოს დეკლარაცია და გადაიხადოს გადასახადი საგადასახადო მოთხოვნის შესაბამისად.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეფექტიან და გადამხდელზე მორგებულ გამარტივებულ საგადასახადო პოლიტიკას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში, ჯანსაღი ბიზნესგარემოს შექმნაში, საბაზრო ეკონომიკის თანმხლები ნაკლოვანებების აღმოფხვრაში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაში.

სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციიდან და ქვეყნის სტრატეგიული გეგმიდან. გადასახადები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პანაცეა, როგორც საზოგადოების წინაშე არსებული ყველა სოციალურ - ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის გზა, თუმცა გამართულ საგადასახადო სისტემას შეუძლია სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა და ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარება. ამასთანავე, ეროვნული და საზღვარგარეთის ქვეყნების დაბეგვრის სისტემის ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ არსებობს სრულფასოვანი და იდეალური საგადასახადო სისტემა და ამავდროულად ქვეყანაში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური განვითარების პარალელურად სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მის გაუმჯობესებაზე.

საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად და გააზრებულადაა ფორმირებული საგადასახადო სისტემა. შესაბამისად, კანონმდებლის ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე დაბეგვრის ისეთი რეჟიმის დაწესება, რომელიც არ დაახშობს მეწარმის ეკონომიკურ აქტივობას, მისცემს საშუალებას ადაპტაცია მოახდინოს კანონმდებლობასთან და ბიზნეს გარემოსთან, ისარგებლოს შეღავათებით საწყის ეტაპზე რაშიც ბოლო პერიოდის სახელმწიფო-საგადასახადო მიდგომა თვალსაჩინოა და ამავდროულად უზრუნველყოფს ბიუჯეტში საგადასახადო

შენატანების სათანადო დონეს, ვინაიდან, გადასახადებით დაბეგვრას, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას გააჩნია თავისი საზღვრები. საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის ერთ-ერთი უმტკივნეულო გზა იქნება მრავალსაფეხურიანი მოგების და საშემოსავლო გადასახადის შემოღება. ამასთანავე, ასეთი მიდგომით შესაძლებელი გახდება პრიორიტეტების სტიმულირება ეკონომიკაში, ადგილობრივი რეალური (საწარმოო) სექტორის წახალისება, ექსპორტიორი დარგების აღორძინება-განვითარება და ა.შ.

საქართველოში გადასახადის ცნების გაგება არაერთგვაროვანია და ხშირად ის არასწორი ინტერპრეტაციით გამოიყენება. მოსახლეობის ცნობიერება საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნის კუთხით არცთუ ისე მაღალია, რაც ნაწილობრივ წინააღმდეგობრივს ხდის საგადასახადო ადმინისტრირების პროცესს. შესაბამისად, ამ პროცესში არსებული ფსიქოლოგიური ფაქტორები განაპირობებს, იმას რომ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ნებისმიერი რეფორმა თუ საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილება იწვევს ადამიანების შიშს, აჩენს კითხვის ნიშნებს რადგანაც ისინი ხშირად ვერ აცნობიერებენ კონკრეტული ცვლილების საჭიროებას, მის დადებით თუ უარყოფით მხარეებს. უფრო მეტიც, მოსახლეობა ნეგატიურად ხვდება სახელმწიფოს ინიციატივას, რომელიც ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებას ემსახურება, მაშინ როდესაც ცვლილება შესაძლოა გადამხდელებისა და მომხმარებლების კეთილდღეობისკენ იყოს მიმართული.

გადასახადის გადახდა რომ აუცილებელი და გარდაუვალია საზოგადოების კეთილდღეობისთვის, ეს გათავისებული უნდა ჰქონდეს ქვეყანაში ფუნქციონირებად ყველა სამეურნეო სუბიექტს. გადასახადის გადახდა ქვეყნის განვითარებასა და თითოეული მოქალაქის მომავალზე პირდაპირ პროპორციულად მოქმედებს. ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ კანონმდებელმა ცალსახად აღიქვას და გაითავისოს, რომ საგადასახადო ტვირთი, როგორც წესი, იმაზე მეტი არ უნდა იყოს, რისი ატანაც შეუძლია ბიზნესსექტორს. შესაბამისად, ეს საკითხი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის - ბიუჯეტის შედგენისას. აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ მეწარმეებისთვის ბიზნესგარემოს

გაუმჯობესების ერთადერთი გზა მხოლოდ და მხოლოდ საგადასახადო განაკვეთის შემცირებაა.

საჭიროა გადასახადის გადამხდელებს დავანახოთ, რომ გადასახადის გადახდა უფრო ნაკლებ ხარჯებთანაა, დაკავშირებული ვიდრე მათი გადაუხდელობით გამოწვეული შედეგი. გადასახადის გადამხდელებისათვის, რომლებიც არ ასრულებენ მათ წინაშე არსებულ საბიუჯეტო ვალდებულებას, აუცილებელია არსებობდეს საურავისა და ჯარიმების ეფექტიანი სისტემა. ამასთან მიგვაჩნია, რომ სანქციები უფრო მეტად უნდა ატარებდეს პრევენციულ ხასიათს, რადგან მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო სამართალდარღვევებზე განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომები ადეკვატური იყოს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შინაარსის, ვინაიდან მისი გამოყენების შემთხვევაში ეჭვქვეშ არ დადგეს მეწარმის სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელების საკითხი, რომელიც, თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთან - დასაქმებასთან.

ეფექტიანი საგადასახადო ადმინისტრირების უზრუნველყოფა დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებზე, არამედ ამ პროცესში უშუალოდ ჩართულ გადასახადის გადამხდელზე, ვინაიდან მეწარმე სუბიექტების აქტიური ჩართულობა ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებაში ხელს უწყობს ეფექტიანი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების პროცესს.

საგადასახადო ადმინისტრირებასთან მიმართებით საზოგადოებრივი ცნობიერების და პირდაპირი მოტივაციის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ გადასახადის გადამხდელს ჩამოუყალიბოს განწყობა, რომ მის მიერ გადახდილი თანხა არის არა ქვეყნის ხელისუფლებისთვის, არამედ მისთვის და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობისთვის გაღებული საფასური. ამის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია სახელმწიფოს მიერ, მათ შორის მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ჩართულობით, გატარდეს მიზანმიმართული სხვადასხვა საგადასახადო შემეცნებითი და საინფორმაციო ღონისძიებები გადასახადების გადახდით მისაღებ სიკეთეზე. ამით გადასახადის გადამხდელის ყურადღება გადასახადების სადამსჯელო ხასიათიდან

გადატანილი იქნება პრევენციასა და გადახდილი გადასახადის სარგებლიანობაზე. რაც გამოიწვევს გადასახადის გადამხდელებში პირდაპირი მოტივაციის ამაღლებას, განაპირობებს მეწარმეთა საგადასახადო კულტურის და თვითშეგნების ამაღლებას რაც შესაბამისად, გადასახადების ადმინისტრირებისათვის აუცილებელი სახელმწიფო ხარჯების შემცირებას განაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგები იქნება: ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო ბიზნესგარემო; შეიქმნება ძლიერი და ეფექტიანი საგადასახადო სისტემა; ბიზნესსექტორის მხრიდან შემცირდება საგადასახადო საჩივრების რაოდენობა; გაუმჯობესდება საგადასახადო შემოსავლების ადმინისტრირების პროცესი; საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები; ამაღდება საზოგადოების საგადასახადო კულტურული დონე; გაიზრდება ინვესტიციების რაოდენობა და ბიზნესის კეთების(სიმარტივის და ლოიალური საგადასახადო სისტემის) კუთხით საქართველო იქნება ერთერთი მოწინავე ქვეყანა არა მხოლოდ რეგიონში არამედ მსოფლიო მაშტაბით. მთავარია რომ შეღავათებით არა მხოლოდ მსხვილი კომპანიები სარგებლობდნენ არამედ ის მცირე და საშუალო მეწარმეები რომლებიც ეხლა იწყებენ საქმიანობას, ლოიალური და მარტივი საგადასახადო სისტემა საშუალებას მისცემს არ დაფრთხეს და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სახელმწიფომ გაზრდასა და განვითარებაში. სწორედ საშუალო ბიზნესი არის დღევანდელ რეალობაში ქვეყნის პრიორიტეტი და მთავარი სულის ჩამდგმელი რომელსაც უნდა ქონდეს საშუალება და მზაობა იმისა რომ განვითარდეს, გაფართოვდეს და წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, რაც გარკვეული დროის მერე აისახება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ. - საგადასახადო საქმე, თბ. 2007
2. ბახტაძე ლ. - საგადასახადო დაგეგმვის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები - თბ. 2009
3. ვერულიძე ვაჟა - გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა - თბ. 2008
4. კაკაბაძე ვაჟა - აქციზური საქონელი, მისი დაბეგვრის არსი, ფუნქციები და ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში - თბ. 2005
5. ლორია გიორგი - საბაჟო გადასახდელებით დაბეგვრა საქართველოში - თბ. 2009
6. მესხია იაკობ - გადასახადები და დავეგვრა - თბ. 2002
7. მესხია ი., ურიდია გ., რუხაია ფ. - საბაჟო გადასახდელები - თბ. 2004
8. ურიდია გონერ - ქონების გადასახადის პრაქსეოლოგიური ანალიზის საკითხებისათვის, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები . 2012 N1
9. ურიდია გონერ - საშემოსავლო გადასახადის მოდელის საკითხისათვის, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები . 2012 N10
10. ურიდია გონერ - დაბეგვრის საფუძვლები - თბ. 2014
11. ურიდია გონერ - დაბეგვრის ზოგიერთი პრობლემური საკითხის რეტროსპექტული ასპექტები, ჟურნ. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები. 2013 N3
12. ურიდია გონერ - სახალისო დაბეგვრა - თბ. 2011
13. ყამარაული სულიკო - გადასახადები და დაბეგვრა - თბ.
14. გონერ ურიდია - მოგების გადასახადის ესტონური მოდელი - თბ. 2018
15. RS.GE
16. Matsne.gov.ge